

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ბათუმი ცენტრალი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2019

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ბათუმი ცენტრალი“

ს.კ: 445386172

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7-15

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	7
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	7
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები ..	11
შენიშვნა 5. ამონაგები	11
შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები	11
შენიშვნა 7. სხვა ხარჯები	12
შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები	12
შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	13
შენიშვნა 10. მარაგი	15
შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	15
შენიშვნა 13. სასესხო ვალდებულებები	15
შენიშვნა 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	15
შენიშვნა 16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	16
შენიშვნა 17. მსს ფასს-ზე გადასვლა	16
შენიშვნა 18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმი ცენტრალი“, ს.კ: 445386172

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	21,414	6,980	6,068
სავაჭრო მოთხოვნები	339,716	329,829	177,399
გადახდილი ავანსები და დარიცხ. მის	36,854	11,287	
მარაგები	2,178	2,178	2,425
- მზა პროდუქცია			
- სხვა	2,178	2,178	2,425
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები - კაპიტალი (გაუნაღდებელი ნაწილი)			403,310
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8,282,813	8,715,660	9,193,705
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	8,682,975	9,065,934	9,782,907
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	19,074	18,311	20,070
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			3,415
საგადასახადო ვალდებულებები			57,136
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9,839,577	9,136,031	9,329,011
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	13,655		68,757
სულ ვალდებულებები	9,872,306	9,154,342	9,478,389
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	6,925,764	6,925,764	6,316,342
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(8,115,095)	(7,014,172)	(6,011,824)
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	(1,189,331)	(88,408)	304,518
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8,682,975	9,065,934	9,782,907

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

7-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმი ცენტრალი“, ს.კ: 445386172

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2018	2017
ნეტო ამონაგები	528,755	510,930
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	528,755	510,930
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		

რეალიზებული პროდუქციის	-	(250)
საწყისი მარაგები	(2,178)	(2,425)
მარაგების შესყიდვა		(3)
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	2,178	2,178
საერთო მოგება	528,755	510,680

სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(141,793)	(358,740)
ცვეთა და ამორტიზაცია	(448,363)	(478,214)
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	(584,617)	(663,628)
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(134,442)	(182,311)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,309,215)	(1,682,893)

საოპერაციო მოგება	(780,460)	(1,172,213)
--------------------------	------------------	--------------------

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)	(299,018)	205,935
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	(21,445)	(36,071)
მოგება/(ზარალი) მოგების გადამხდელისათვის	(1,100,923)	(1,002,349)
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	(1,100,923)	(1,002,349)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/	(1,100,923)	(1,002,349)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

7-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმი ცენტრალი“, ს.კ: 445386172

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ქართულ ლარში)

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(88,408)	304,518
საწესდებო კაპიტალის ცვლილება შპს-ში განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		609,423
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში კაპიტალის სხვა ცვლილებები	(1,100,923)	(1,002,349)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(1,189,331)	(88,408)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



[Handwritten signature]

ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

7-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმი ცენტრალი“, ს.კ. 445386172

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2018	2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	125,412	(333,295)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(87,546)	357,541
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	37,866	24,246
სავალუტო კურსის ეფექტი	(23,432)	(23,334)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	6,980	6,068
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	21,414	6,980

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



[Handwritten signature]

ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბათუმი ცენტრალი რეგისტრირებულია 2010 წლის 19 მაისს. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ბათუმი, ოდისეი დიმიტრიადის ქ., N3.

საწარმოს დამფუძნებელი და 45 % წილის მფლობელია ფიზიკური პირი გიორგი ჭყონია, ხოლო 55 % წილის მფლობელია შპს გზა (245525132).

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა არასაცხოვრებელი ფართის გაქირავება (საიჯარო მომსახურების გაწევა).

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2018 წლის პირველი იანვრით საწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტი წარმოდგინილია წინა შესადარისი პერიოდის ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



[Handwritten signature]

ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

7-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



[Handwritten signature]

ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

7-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევსებულების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.


საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო





ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლილება, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

შენიშვნა 5. ამონაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
შემოსავალი მომსახურების გაწვიდან	528,755	510,930
სულ	528,755	510,930

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი		205,935
სულ		205,935

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



(Handwritten signature)

ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	134,442	182,558
სულ	134,442	182,558

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები		
· საპროცენტო ხარჯები	584,617	663,628
· სესხის დაფარვის ვადაგადაცილების ჯარიმა	21,445	36,071
· ზარალი რეალური ღირებულების ცვლილებიდან	299,018	
სულ	905,080	699,699

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



[Handwritten signature]

ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები

ინფორმაცია ძირითად საშუალებაზე		2018 წელი: პერიოდის საწყისი მონაცემები		
საბალანსო	დასახელება	ღირებულება (ლ)	აკუმულირებული ცვეთა	ნარჩენი ღირებულება
2105	1000 ლარამდე ქონება	10,468.47	4,231.06	6,237.41
2110	მიწა	351,084.00	-	351,084.00
2130	შენობა რკინიგზის სადგური	9,522,981.65	1,355,631.63	8,167,350.02
2141	ჯიხური ასაწყობი კონსტრუქცია	5,723.40	816.30	4,907.10
2142	შლაგბაუმი	11,148.00	5,440.22	5,707.78
2150	მანქანა დანადგარები	339,693.67	165,770.51	173,923.16
2155	კავშირგაბმულობის საშუალებები	3,668.64	1,790.30	1,878.34
2160	ოფისის აღჭურვილობა	3,135.59	1,090.75	2,044.84
2161	კომპიუტერული ტექნიკა	1,328.39	580.41	747.98
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი	2,966.10	1,186.44	1,779.66
ჯამური მონაცემი		10,252,197.91	1,536,537.62	8,715,660.29

ინფორმაცია ძირითად საშუალებაზე		2018 წლის პერიოდში განხორციელებული ცვლილებები		
		შემოსავალი		ცვეთა
		შესყიდვა	კაპიტალიზაცია	
საბალანსო	დასახელება	ღირებულება (ლ)	კაპიტალიზაცია	მიმდინარე
2105	1000 ლარამდე ქონება	321.19		1,311.73
2110	მიწა			
2130	შენობა რკინიგზის სადგური		12,113.50	408,973.18
2141	ჯიხური ასაწყობი კონსტრუქცია			245.36
2142	შლაგბაუმი			1,141.56
2150	მანქანა დანადგარები			34,784.63
2155	კავშირგაბმულობის საშუალებები			375.67
2160	ოფისის აღჭურვილობა	1,822.03		773.38
2161	კომპიუტერული ტექნიკა	1,259.02		401.41
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი			355.93
ჯამური მონაცემი		3,402.24	12,113.50	448,362.84

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



Handwritten signature

ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

ინფორმაცია ძირითად საშუალებაზე		2018 წლის პერიოდის ბოლოს მონაცემები			
საბალანსო	დასახელება	%	ღირებულება (ლ)	აკუმულირებული ცვთა	ნარჩენი ღირებულება
2105	1000 ლარამდე ქონება	20%	10,789.66	5,542.79	5,246.87
2110	მიწა		351,084.00	-	351,084.00
2130	შენობა რკინიგზის სადგური	5%	9,535,095.15	1,764,604.81	7,770,490.34
2141	ჯიხური ასაწყობი კონსტრუქცია	5%	5,723.40	1,061.66	4,661.75
2142	შლაგბაუმი	20%	11,148.00	6,581.78	4,566.22
2150	მანქანა დანადგარები	20%	339,693.67	200,555.14	139,138.53
2155	კავშირგაბმულობის საშუალებები	20%	3,668.64	2,165.97	1,502.67
2160	ოფისის აღჭურვილობა	20%	4,957.62	1,864.13	3,093.49
2161	კომპიუტერული ტექნიკა	20%	2,587.41	981.82	1,605.59
2170	ავიჯი და სხვა ინვენტარი	20%	2,966.10	1,542.37	1,423.73
ჯამური მონაცემი			10,267,713.65	1,984,900.46	8,282,813.19

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შემენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

7-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი



Handwritten signature of Besik Davitashvili

შენიშვნა 10. მარაგი

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სხვა	2178	2178
სულ	42,684	46,798

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო დებიტორები	339,716	329,829
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	339,716	329,829
წინასწარი გადახდები	26,854	11,287
სულ	376,570	341,116

შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფულადი სახსრები სალაროში	6,206	6,722
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	774	14,692
	6980	21,414

შენიშვნა 13. სასესხო ვალდებულებები

	სესხის ვალუტა	ნაშთი ვალუტაში 31/12/2018	ნაშთი ეკვივალენტში 31/12/2018
სესხი გრძელვადიანი	აშშ დოლარი	3,676,147.85	9,839,577.33
სულ ნასესხები სახსრები		3,676,148	9,839,577

შენიშვნა 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	19,074	18,311
	19,074	18,311

შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ შეიცვალა საწარმოს პარტნიორები, კერძოდ 2019 წლის 06 მაისს საწარმოს 55 % წილის მფლობელი გახდა შპს „გზა“ (ს.კ:245525132).

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



ბათუმი
ცენტრალი

ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

შენიშვნა 16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმო დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების
(კომპენსაციის) მთლიანი თანხა (ლარი)

31 დეკემბერი 2018

31 დეკემბერი 2017

37,625

42,500

შენიშვნა 17. მსს ფასს-ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

შენიშვნა 18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს ბათუმი ცენტრალის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 25 სექტემბერს.



გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს:

გიორგი შარაშიძე
დირექტორი

2019 წლის 25 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

7-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.